№ 18 7 ენკენისთვე, პარასკევი 1866—1879 7 ენკენისთვე, პარასკევი № 185

# დროება

რედაქცია: სოლოლაკზე, ბაღის ქუჩაზე, გ. შადინოვის სახლში, № 33.

ხელის-მოწერა მიიღება რედაქციაში. გარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. Въ редакцію „Дроэба“.

გაზეთის ფასი: მთელის წლისა — 8 მ., ნახევარ წლისა — 5 მ., სამის თვის — 3 მ., ერთის თვისა — 1 მ.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

ყოველ დღე ორშაბათს გარდა

ფასი განცხადებისა: წვრილი ასოებით ასოზე 1 კაპ. ჩვეულებრივის ცერცერთი — 5 კაპ., პატარათი — 4 კაპ.

რედაქციას უფლება აქვს გაასწოროს და შეამოკლოს დასაბეჭდათ გამოგზავნილი სტატიები. დაუბეჭდელი სტატიები ავტორს არ დაუბრუნდება.

ცალკე ნომერი ღირს შაურად.

## ნახევარი წლის ხელის-მოწერა

## „დროებაზე“

მიიღება რედაქციაში — ბაღის (სადოვის) ქუჩაზე გ. შადინოვის სახლებში, № 33

ქალაქს გარეშე მცხოვრებთა ამ ადრესით უნდა დაიბარონ გაზეთი: Въ Тифлисъ. Въ редакцію газ. „Дроэба“.

ფასი ნახევარ წლის გაზეთისა, ე. ი. 1 ივლისიდამ წლის დამლევამდინ, გაგზავნით — ხუთი მანეთი.

## ტელეგრამები

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

სიმლა, 3 სექტემბერს. აქ დარწმუნებით ამბობენ, რომ ავღანის ემირმა იაკუბ-ხანმაც მიიღო მონაწილეობა ინგლისის ელჩების დახოცვაში. ქაბულში გამოვიდა ბრძანება; რომ არავინ გაბედოსო ინგლისელებთან რაიმე კავშირისა და საქმის დაჭერა. დაკკაში დაყენებულია დიდ-ძალი ჯარი ზამუნდის თემის ხალხისა, რომელიც ინგლისელების საბრძოლველად ემზადება.

ბელგრადი, 3 სექტემბერს. რამდენიმე დღით მოელიან ბოლგარიის მთავარს.

ყაიდალარი, 3 სექტემბერს. ქაბულიდამ მოსულმა ერთმა მაღალი წოდების ავღანელმა მოიტანა ამბავი, რომ იაკუბ-ხანმა ჰერატიდამ და ბალხიდამ დაიბარა ქაბულში გილზაის თემის ხალხი იმ განზრახვით, რომ სამღვთო ომი გამოუცხადოს ინგლისელებს და სანამ უკანასკნელი საშუალება ექნება ებრძოლოს, თოფ-იარაღი არ დაჰყაროს.

პეტერბურღის ბირჟა, 29 აგვისტოს.

(ხალხთა-შორის ტელეგრაფის სააგენტოსი)

| ბანკის ბილეთები: | მან. კაპ. |
|---|---|
| პირველი გამოცემის — | 94—62 |
| მეორე — — — — | 93—50 |
| მესამესი — — — | 93— „ |
| მეოთხესი — — — | 93—37 |
| აღმოსავლეთის პირ. — | 92— „ |
| აღმოსავლეთის მეორე — | 92— „ |
| აღმოსავლეთის, მესამე — | 92—— |
| ოქრო, ½ იმპერიალი — | 7—84 |
| თფილ. თავად-აზნ. ბანკის გირაოს ფურცელი — | „— „ |

შინაგანი 5% სესხის ბილეთები

| | მან. კაპ. |
|---|---|
| პირველი სესხის — — | 234— „ |
| მეორე სესხის — — | 229— „ |

1 მანეთი ღირს:

| | | |
|---|---|---|
| ლონდონი — — | 24—12 | პენსი |
| ჰამბურღი — — | 127—37 | ცენტი |
| პარიჟი — — — | 265— „ | სანტიმი |
| ვენა — — — | 214—75 | პფენიგი |
| კავკასიის კერასინი — | — — | |

## საქართველო

### დღიური

** ჩვენ შევიტყეთ შემდეგი დაწვრილებული ამბავი იმ პრიკასჩიკის მოკვლის თაობაზედ, რომელიც ამას წინათ იყო მოკლედ მოხსენებული ჩვენს გაზეთში:

ეს პრიკასჩიკი ყოფილა ახალგაზდა, სულ 15-16 წლის ლამაზი ბიჭი, სახელად პოლოზ მათუზოვი. პირველად ის

## ფელეტონი

### ისტორიული მასალები

(გაგრძელება*)

ჯერ ხელთოფებით იომეს გაცხარებულად; რა დაუახლოვდნენ ერთი მეორეს, დაბანჩებს მოჰკიდეს ხელი და ბოლოს ხმალ-სატევრებზედ გადგნენ. დაცლიითგან მობრუნებულ ქართველთ გაუჭირევს საქმე ოსმალოებმა; მის დროს მეფე ერეკლის მეომართ ვერ შეუერთდნენ. ესრეთი მათი შეგვიანება გაჭირვების ნიშანი იყო; ეს ვერ დაინახა მეფე ერეკლემ სასიკეთოდ; მით უბრძანა თავის ორ წყობას მიშველებოდნენ იმათ და თვითან ერთის წყობით შეუტია ლეკ-ოსმალთა. ამათ ეგონათ უკანა ჯარი შემოუერთდაო და გაიფანტნენ, ზოგი ხვილიშის ხევში შეცვივდნენ ლეკ-ოსმალნი და ზოგი ჩიხორიშისკენ გაიპარნენ.

ის ორი წყობა რა მოსცილდა წინა-ჯარსა, ბევრს უცნობთ დაფრთხობად და მეფის ლალატად ეგონათ, რადგან მიზეზი არ იცოდნენ, წამოვიდნენ დიდის სისწრაფით. რა თვალი შეჰკრეს ყიყინ-კივილით მიმავალ მწეთა ქართლის მხედრობასთან; ეგონათ ოსმალთა მეფემ ლეკ-ოსმალნი დაამარცხა და ახლა ჩვენზედ მოდისო, მოიშალნენ; ცოტა რამ სული მოიბრუნეს შეჭირვებულ ქართველთ თუ არა, ნახეს მწე ჯარი, შეუერთდნენ, ვაძხნევდნენ ამ დროს ოთხკეცად და მოულოდნელის გულადობით გაეკიდნენ მოშლილ ოსმალოს ჯარსა: ისე შეიშალნენ უბედურები ოსმალოები, რომ ყოველთ ხიდს მიჰმართეს ერთიან, მსხვრევა-მტვრევით და ერთ მეორეს სრესა-ზერგნით. სხვა გზა არა ჰქონდათ შიშისაგან გულ-გახეთქილთ, სისხლ ამღვრეულთ და თვალებ აბნეულთა; ხიდზედ შეცვივნულ წინა ჯარს ხიდის ფიცრები რომ აყრილი დახვდა, უკან მობრუნება ველარ შეიძლეს, უკანა ჯარი აწვებოდა და ჰყრიდა წყალში, ოთხი წილი სულ წყალში ჩაცვივდა, ვიდრე უკანა ჯარი გაიგებდა; მტკვარის ადიდების დროც იყო აპრილის დამლევ. უკანა ჯარსაც დაეწვდა გაცხარებული მხნე ქართლის მხედრობა და დაამარცხა საკვირველად..

ეს რა ასე მოულოდნელად გაემარჯვათ, დამარცხებულთ დაფცქვნას აღარ დაუყურეს, აშურად შეუერთდნენ წინა ჯარსა. ამ დროს თურმე მეფე ერეკლე ჩამომჯდარიყო ხვილიშის ეკკლესიასთან ცხენითგან და პირჯვარს იწერდა კართან მდგარი და ევედრებოდა ღმერთსა.

უეცრად ჩიხორიშის მხრის ქართველთ მხედრობამ უკან დაიწია საჩქაროდ, იძახდნენ:

— კოხტა-ბელადი ლეკის დიდის ჯარით მოგვეერია! არ იქნა, იდგილი ნახეთ გავმაგრდეთო! „მაშინვე მეფე შემოხტა ცხენს და გაიწია წინ თავის ჩვეულებრივის უშიშრობითა ნამდვილის შესატყობლად; რადგან ვიდრე თავის თვალით არ ნახავდა, არაფის არ დაერწმუნებოდა, (ესრეთი ქცევა დროების გამოცდილებამ

*) „დროება“, № 173.

მსახურებდა, თვეში თხუთმეტ მანეთად, წოვიანოვის მაღაზიაში სასახლის ქუჩაზედ. შემდეგ ალასი ალავერდოვი შესჩენია, წელიწადში ორმოც-და-ათ თუმანს დაჰპირებია, ოღონდ ჩემს მაღაზიაში გადმოდიო. ყმაწვილი შემცდარა და გადასულა ამ კაცის მაუდის მაღაზიაში თამამშოვის ქარვასლაში.

იმ დღეს, რა დღესაც მკვლელობა მოხდა, ე. ი. 2 სექტემბერს, ერთ საძაგელი ხელობის კაცს (მაჭანკალს) „ბიჟ-ვანოს“ სადილი გაუმართავს, დაუპატიჟნია ზემოხსენებული ვაჭარი ალასი ალავერდოვი და მეორე ვაჭარი ქარვასლისა ალექსანდრე ხუდადოვი; ალავერდოვს ეს ყმაწვილი პრიკაზჩიკიც თან მიუყვანია. ბიჟ-ვანოს ყველაფერი მომზადებული ჰქონია, რომ ალასი ალავერდოვისათვის მოეხერხებინა იმ საძაგელი საქმის ჩადენა, რომელსაც „სოდომ-გომორის ცოდვას“ ეძახიან.

სადილად ბევრი უქეიფნიათ, ბევრი ღვინო უსვამთ; ყმაწვილისათვისაც, რასაკვირველია, განგებ, ბევრი ღვინო დაულევინებიათ.

როცა კარგათ შეზარხოშებულან, ალასი ალავერდოვს მოუნდომებია თავის პირუტყული განზრახვის შესრულება; უთქვამს ყმაწვილისათვის, ფეხი გაიხადე და ტახტზე ადიო... ყმაწვილი არ დათანხმებულა. შექნილა ფარცხალი. ყმაწვილი თან გამოვარდნილა; ამას ალასიც გარედ გამოსდევნებია; რამდენიმე წამის შემდეგ ყმაწვილი შემოსულა ისევ სახლში, ხელი მუცელზე ჰქონდა მოკიდებულიო და დაუყვირაო: „მიშველეთ! მომკლაო!“

იმწამსვე ექიმისთვის უცნობებიათ; მაგრამ გვიანღა ყოფილა: რამდენიმე საათის შემდეგ, ის მომკვდარა.

ამბობენ, რომ სამივე მოქეიფე მხეცკაცები დაჭერილი არიანო. ჩვენ გავიგონეთ, ვითომც უმთავრეს დანაშაულს, ალასი ალავერდოვს (რომელსაც ცოლშვილიან კაცს ამბობენ) ბეი წარედგინოს და გაქთავისუფლებინოსთ; მაგრამ ეს ჩვენ არ გვჯერა.

ხალხი ძლიერ აღელვებულია ამ მხეცურ საქმის გამო. ბევრისაგან გავიგონეთ, რომ „ჩამორჩობა კიდევ ცოტაა ამათთვისაო!“

იმედია, ამ საქმის თაობაზე სასტიკი გამოძიება მოხდება და ამ მხეცური საქმისა და მხეცური მკვლელობის მომხდენნი სამაგალითოდ დასჯილნი იქნებიან.

*** დიდი სიძვირეა ამ ჟამად ქალაქში სახლებისა; ყველა, ვინც კი აქაურები, ან სოფლებიდამ და აგარებიდამ ჩამოსულები, სადგომს ეძებენ, სჩივიან, რომ ამისთანა სიძვირე სახლისა ომიანობის დროსაც არ გაგონილაო. სახლი, რომელიც შარშან და წელს გაზაფხულზე, ვსთქვათ ოც-და-ათ თუმნად ფასობდა, ახლა ორმოც თუმან ნაკლებ არ იშოვებაო. უბრალო სამ-ოთხ ოთახიან კვარტირას სახლის პატრონები ოთხას ხუთას მანეთ ნაკლებ არ იძლევიან

როგორ იცხოვროს ამისთანა სიძვირეში ღარიბმა ოჯახმა?

ამ სახლის სიძვირეს მიეწერება, უეჭველია, ის გარემოება, რომ ამ ჟამად საცა არ გაიხედავ ჩვენს ქალაქში, ყველგან ახალი სახლები შენდება და ვისაც შეძლება აქვს და ეხერხება, ძველ სახლებს აკეთებენ, უმატებენ.

იქნება ამ ახალი სახლების მომატებამ ცოტა მაინც გააიეფოს სადგომები თფილისში.

*** ერთს თფილისის გაზეთში გამოცხადებულია, რომ კავკასიის ნამესტნიკის თანაშემწე თ. სვიატოპოლკ-მირსკი, რომელიც ამ დღეებში ვარშავაში წაბრძანდა.

*** ამბობენ, რომ წ[illegible] მ[illegible] ღვინობისთვეში იქნება [illegible] (მარულა) ცხენებისა, როგორც შარშან ამ დროს იყოვო. თუ მართალი გამოდგა ეს ამბავი, დოღი, უეჭველია, იქვე, დიდუბეში, გაიმართება, სადაც შარშან გაიმართა, რადგან ადგილი და ყველა მოწყობილობა მაყურებლებისათვის მზათ არის.

# სამბასო

## პასუხი თელაველ კორრესპონდენტს

(გაგრძელება)

ახლა წარმოვიდგინოთ, მკითხველო, ერთ მინუტს, რომ ჳ. ჭეშმარიტად განათლებული კორრესპონდენტი მართალია და მე უნდა მქონდეს 7 გაკვეთილი რუსული ენისა, ერთი ისტორიისა და სხვებიც კიდე ისე, როგორც მას ჩამოუთვლია; ვნახოთ, რა გამოვა. როდესაც თქვენ დააკვირდებით იმ ადგილს, სადაც ჳ. ავტორი ჩემ გაკვეთილებს თვლის და შემდეგ ყურადღებას მიაქცევთ მათ იტოგს, მაშინ თქვენ ძალიან გაკვირდებით: როგორ არ გაკვირდებით, როდესაც ცხადათ ხედავთ, რომ ჳ. განათლებულ ავტორს ლიტერატურაში ფეხი ჩაუდგამს, მართლადაც ჭეშმარიტ-განათლებულ კაცად მიაჩნია თავის თავი, სხვას უწოდებს ყალბ-განათლებულად და ლოღიკის და არითმეტიკის უბრალო კანონებში კი არა სმენია რა. ეს ნამდვილი გახლავთ, ჳ. ავტორო! მაგრამ, იქნება ფიქრობდეთ, რომ ლიტერატურაში ლოღიკა და არითმეტიკა არა ვითარი საჭირო არაა? მე ამას იმისთვის ვკი-

---

ასწავლა). მართლა ნახა, კოხტა ჯარს წინ მოუძღოდა ქვექვეით (ამაყურად) წელ წმინდა, მაღალი, მოსხეპული ლეკი აჯილა მხტუნავ კვიცზედ გველივით იკლაკნებოდა და თავის სიყრმეს ენტვრეოდა... დაინახა თუ არ მეფე, ლეკებს ხელი აუკრა, უკუ აყენა ერთიანად. უთხრა:

„— მე თვითან ხელ-და-ხელ უნდა შევება ერეკლესა და მის სეირს გაჩვენებ მე თქვენა, ნახავთ თუ ცხენზედ როგორ ლუკმა-ლუკმა ავჰკაფავ!

კოხტამ ზემოთგან გამოუშვა ცხენი და ქვემოდგან მეფე ერეკლემ მიისწრაფა. უკან შედგა ქართველთ მხედრობაცა, როგორც წინ ლეკის ჯარი, სრულ ორი ყანის მანძილზედ. ამ საშვალებაში ცხენ-და-ცხენ შემოება კოხტა-ბელადი მეფესა, დაუკივლა:

— რახანც ჰბედავ მარტო ჩემს შემობმას, ნახავ კახეთის ფინაო (ციბავო), თუ რა დაგმართოვო?

უპასუხა მეფემ:

— საქმის ბოლო გამოაჩენს სიმართლესა! მაშინ გამოჩნდება—თუ ვინ იქმნება კაცი და ვინ ფინაო!

ცხენის-ცხენზედ შეხლისავე კოხტამ ხმალი დაუქნია ძლიერად, მეფემ ხრმლის ყუვა აუკრა და გარდიცილა თავითგან. ამ დროს კოხტას კვიცი უკუ შეხტა ერთი ფეხის გარდადგმა; გარნა მეფის ცხენი ზედ იწევდა გარდასაქელად; ვიდრე კოხტა მეორედ ხმალს მოიმარჯვებდა დასაკრავად, მოასწრო მეფემ, გაუქნია გვერდზედ თუ არა, შუა გარდასჭრა ისეთი სისწრაფით, რომ შეცხელებულმა ლეკმა ვერა გაიგო-რა (?!). დაიძახა თურმე კოხტამ:

— მაგით ვითამ რა დამაკლეო?

მიუგო მეფემ:

— ერთი ცხენზედ გაინძერ და მაშინ გაიგებ რაც არისო!

მართლა ხელ-ახლავ ცხენის შეთამაშება და კოხტა ბელადის წელზეით ძირს ჩამოვარდნა ერთი იქმნება!

ასე მოგვითხრობს ამ ორთა ბრძოლას ხალხი.

მაშინ უკივლეს უკნითგან ქართლის მხედრობამ ლეკის ჯარს. მიესივნენ და სრულ ცხვრულებ ჟლიტეს თვალ-გატეხილი ლეკები. ოსმალოები და ლეკები, რაც იყვნენ ხვალიმის ხევში, წინ ველარც მოეკარნენ, შეცვივდნენ რიგი ოთისკენ, რიგი ოშორის მხარისკენ და ასრე გარდაიხვეწნენ თავ-ზარ-დაცემულნი ტყეღრეში.

რა სრულიად დაამარცხეს, მობრუნდნენ და ერთიან დაამიშვლეს ლეკ-ოსმალოს მკვდრები თუ დაჭრილები და ეგრედ გამარჯვებულნი გარდვიდნენ ჯავახეთიდგან სიქართველოში.

შესანიშნავი და საკვირველი ეს არის, რომ ერეკლეს ყოველი გამარჯვება— გამარჯვებაები სრულ გალექსილია თავითგანვე მესხებისაგან ისე დაწვრილებით, რომ ისტორიულ დიდ ნაწილის სურათს ცხადათ აჩვენებენ. ამ ლექსების დიდი ნაწილი ხიზაბავრითგან შემიკრებია. მაგალითად ამ გამარჯვებაზედ უთქვამსთ შემდეგი ლექსი:

დიდება და მადლი ღმერთსა, რომ გამოჩნდა ქრისტეს ჯვარი,
ოთხი კუთხე სულ შეიძრა, თავი რუს ხელმწიფე არი:

თხულობ, რომ თქვენგან ყოველივე სიკეთეს უნდა მოელოდეს კაცი.

თქვენი ჭეშმარიტი განათლება, მათემატიკური მეცნიერება და ლოღიკური გახსნა აი რაში მდგომარეობს: შემდეგ ზემო მოყვანილი ჩემი გაკვეთილების ჩამოთვლისა თქვენ მიერ, თქვენ იქავე უმატებთ: „სულ არა ნაკლებ ოც-და-ოთხის გაკვეთილისა კვირაში!“ რისთვის ამბობთ თქვენ: „არა ნაკლებ ოც-და-ოთხისა“ და არა 25-ისა—ის მარტო ერთმა ღმერთმა უწყის. არითმეტიკის და ლოღიკის კანონების ძალით შვიდი, ექვსი, ორი, სამი ორი თუ ერთი, ორი, ერთიც და კიდე სამი გაკვეთილი გიმნასტიკისა იქმნება სულ არა ნაკლებ 25-ის გაკვეთილისა კვირაში და არა 24-ის, როგორც თქვენ გამოგყავთ თქვენი ჭეშმარიტათ განათლებულ გონების შემწეობით. აპა დათვალეთ; ხომ ხედავთ, რომ რაც უნდა ატრიალოთ, მაინც გამოდის არა ნაკლებ 25-ისა.

მაშ უსტავის ძალით მე მქონია 25-ი გაკვეთილი კვირაში და არა 24-ი; კარგი, ბატონო, ასე იყვეს და გვახსოვდეს კი. პირველ შეხედვით ამ ნაირი თქვენი შეცდომა ლაპარაკობს, ვითომც თქვენდა სასარგებლოთ; მაგრამ ეს მხოლოდ პირველ შეხედვით; ცოტაოდენ ყურადღებას რომ მიაქცევს კაცი და დააკვირდება, მაშინ მას ცხადათ წარმოუდგება, რომ თქვენ ამნაირი შეცდომა მოახდინეთ ან მისთვის რომ ძალიან ღონიერი ბრძანდებოდხართ ლოღიკაში და არითმეტიკაში, და ან კიდე მისთვის რომ ჩემი გასვრისთვის თქვენ დაგჭირდათ მთელი მკითხველი საზოგადოების დატყუება მასში, რაშიდაც მას თავის დღეში ვერ დაატყუებთ.

დაბლა თქვენ ამბობთ, რომ იმავე უსტავის ძალით (რომელიც 25 გაკვეთილს თხოულობს ჩემგან კვირაში), ყველა ეს გაკვეთილები მე უნდა მივცე დღეში ოთხი საათის მუშაობით და, მაშასადამე, კვირაში 24 საათის მუშაობით, ესე იგი გამოდის, რომ ერთი და იგივე უსტავი ვალდებული ხდის სამოქალაქო მასწავლებელს კვირის 24 საათის განმავლობაში მისცეს მან 25-ი საათიანი გაკვეთილი! როგორც მკითხველი ხედავს, ჭეშმარიტათ განათლებულ ავტორის დიდებულ კორრესპონდენციისაგან გამოდის ცხადი სისულელე, რომლის მზგავსი არაფერია სამოქალაქო სასწავლებლების უსტავში და არც იქნება არაოდეს. ამ ნაირი მოთხოვნილება უსტავისა, მთელი პედაღოღიური აზრები მასში და სხვა ბევრი მისი ღირსებები შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც უსტავის შემდგენელი ბუნებითი ნიჭით, განათლებით და ზნეობითის მხრით თქვენ გვანდესთ, უ. ავტორო; წინააღმდეგ შემთხვევაში კი ეს შესაძლებელი არ გახლავს. შემდეგ ამისა ვინ არ იტყვის, რომ თქვენ უსტავები კარგათ გაგიცვნიათ?

შემდეგ თქვენ განაგრძობთ ჩემზე:

„ყველა ეს გაკვეთილები აქვს სადილობამდი. მაგრამ პედაღოღს მცირეთ სჩვენებია ეს გაკვეთილები, თუ სხვა მიზეზით კიდევ აუღია ორი გაკვეთილი გეოგრაფიისა ქალების სასწავლებელში და ამნაირათ კვირის ოც-და-ოთხ საათში უნდა მისცეს ორც-და-რვა თუ ოც-და-ცხრა საათიანი გაკვეთილი! ეს შეეძლო შეესრულებინა, თუ რომ მას ქონოდა დღეში ხუთი საათი გაკვეთილებისათვის, მაგრამ საქმე იმაშია, რომ ეს გაკვეთილები უნდა იყვნენ მიცემულნი დღეში ოთხი საათის მუშაობით!“

აქ მე არ შემიძლია არ გამოგიცხადოთ, უ. ჭეშმარიტათ განათლებულო ავტორო, რომ სასწავლებლებში არაფერი გსმენიათ. საქმეც იმაში გახლავთ, რომ სამოქალაქო მასწავლებელს გაკვეთილებისთვის აქვს ხუთი საათი დღეში სადილობამდი და როდესაც მას თავის სასწავლებელში 23 გაკვეთილი აქვს, როგორც მე მქონდა, მაშინ მას შეუძლია მისცეს კერძოთ და სადილობამდისვე არა თუ ოთხი, არამედ შვიდი გაკვეთილიც. ყველა ეს უბრალო ჭეშმარიტებაები თქვენ კი უნდა შეგეტყოთ და გცოდნოდათ, უფ. ნამდვილად განათლებულო ავტორო, მაგრამ შეტყობა, ცოდნა, გაგება და მოფიქრება ანუ მოსაზრება, როგორც ვხედავ, თქვენი საქმე არ ყოფილა; ეცადეთ მომავალში მაინც გაიგოთ.

რაიცა შეეხება ჩემ კერძო გაკვეთილებს, მე უნდა გითხრათ, რომ მათშიაც ტყვილს ურევთ; ღმერთი გიწყენთ, რომ მთელს კორრესპონდენციაში ერთი სიმართლე გამოურიოთ: ქალების სასწავლებელში მე ავილე სამი გაკვეთილი და არა ოთხი; ეს სხვებს რომ დავიწყებოდეს და ვერ დაამტკიცონ, იქაურ ჟურნალებს მაინც არ დაავიწყდებოდა. მათი აღება ჩემგან მოხდა უფ. სტრელეცკის თხოვნით ჩემმიერ (ვისი შეგონებით კი არ ვიცი), და არა ჩემის თხოვნით ვისმესთვის; პირველად მე უჩვენე მას სხვა მასწავლებელზე და ვარი უთხარი, მაგრამ ვერ მოვიშორე; მან მითხრა, რომ ის მე მთხოვს და არა სხვას და მთხოვს საზოგადო საქმეზე, და მერმე მეც თანახმა გაუხდი. აწ ნაირად იტყვის ყოველთვის უფ. სტრელეცკი, მაშინ როდესაც თქვენი სიტყვიდამ გამოდის, რომ მოხსენებული გაკვეთილებისთვის მე ბევრი მსხვერპლი შევსწირე. რასაკვირველია, თქვენ სხვაფერ არ იტყოდით: სად თქვენ და სად ჭეშმარიტება!

(დასასრული შემდეგ №-ში)

ლ. ბრიგორაშვილი.

---

ერეკლეს შემოუთვალა სალამი და საჩუქარი:
„ასრედ მიყვარხარ, ერეკლევ, როგორც ჩემი და ძმანი!“
მანც მადლობა მოახსენა. „მეგობრობა შენი ვსცანი.
„ეს ფაშები მაწუხებენ, ლეკია და ენიჩარი!“
პატარა ხანს მოიცადა, შეიყარა გურჯისტანი,
ადგა და ქართლი შემოვლო, გაამაგრა ტაშის-კარი;
ხეობაზედ შემოწკიპა, აწყვერს მოვა წინა ჯარი.
აწყვრის ციხეს შემოადგა, შეუშალა ცალი მხარი.
ესროლა და ჩამოყარა ბეთნებითგან ბარახტარი!
ზეითგან ტყვია წუწუნობს, ოხერში წაყალი არ არის
ბაგალოი გამოვარდა, ყელ-ყური ჰქონდა დამწვარი.
სულ გაგვიწყვიტა ლაშქარი, ეს რა ღვთის რისხვა რამ არი!..
აწყვერიდგან გარდავიდა, ასპინძას მიადგა მწყრალი.
რაც იქ დაუკლდათ ლეკ-ოსმალთ, იქ შეუთავა ზარალი,
ბევრი მოწიფული ჰყავდა, ხელ-ფეხით ყაფლან მარალი;
ბავიდნენ, ხიდი აჰოცრეს, გაჩნდა იქ „ჰარითარალი!“
თათრებმა შემოუტიეს, სულ არიცოდნენ ყარალი.
ვერც წინ დაუდგნენ, ვერც უკან, გაუცუდდა „ჰალლა! ჰალი!“
პატ-პუნტით წყალში ცვიოდნენ ქალ-მაჰმადა და სარალი,
სალავათიც ვერ მოჰქონდათ, გასტეხოდათ ისე თვალი!..
ერეკლე ჩვენი ბატონი ასრე პატარა კახია,
ტანს რკინის პერანგი ეცვა, გაჰკრა ხელი და გახია,
რაც უყო ლეკ-ოსმალებსა ჰალალია და ჰახია,
ხრამი შეუკრეს, თვითანვე თავსა მოუდგეს მახია,
იქ დახვდა ქოხტა ბელადი, მას გავარდა ორივ თვალი,
ე, ერეკლემ გაითხოვა: „აგერ არის საბურთალი!“
ნეტა თქო როგორ შებედა, როგორ გაუმართა თვალი?
ორნივ ხმალ-და-ხმალ შეიბნენ, მწვე დათამამდა მურდალი;
ზედ შევარდა მოურიდლად, ვაი მისი ბედის ბრალი;
ისრე გარდასჭრა ცხენზედა, წყალივით გაავლო ხმალი,
რომ თითონაც ვერ შეიტყო, გადავარდა ლეკი მყრალი,
მოდით, ბიჭებო, გავიყოთ ოქრო მარგალიტი, თვალი,
ფარის ანგარიშს ვინ იზამს, სრულ ზოლათაა ახალი!..

ახალციხე, 29 აგვისტოს.

(ბაგრძელება)

ვინმე მესხი

# განცხადებანი

**ქუთაისში**, მიხაილოვის ქუჩაზე, ხვჩინოვის სახლებში, **ივანე კურნოვის მაღაზიაში იყიდება** ნამდვილი, თეთრი **წმინდა** (თაფლის) **სანთელი**
ფასი ჩვეულებრივზე ბევრად უფრო იაფია.

**ამ** გვარივე ნამდვილი წმინდა სანთელი იყიდება აგრეთვე **თფილისშიაც**, სიონის ულიცაზედ, **ონანოვის** ქარვასლაში.

(10—1)

---

### ელემენტარული შკოლა.

**სოლოლაკზედ**, ველიამინოვის ქუჩაზედ, თ. ამატუნის სახლებში

**მიღება** და ეკზამენები მოსწავლე ქალ-ვაჟთა დაიწყება 20 აგვისტოს; სწავლა დაიწყება 3 სექტემბერს 1879 წ.

**საყმაწვილო ბაღში მიიღებიან ბავშვები** ორივე სქესისა, რომელნიც წლოვანებით 4-დამ 7 წლისანი იქნებიან, შკოლაში კი—7 წლიდამ 14 წლამდი.

**ამ** შკოლაში კურსის შესრულების შემდეგ შეუძლიანთ შევიდნენ ყველა სასწავლებლების 1, და 2 კლასებში!

---

### გ. ჩარკვიანის

ქართული წიგნის მაღაზიაში,

ქაშვეთის ეკლესიის შენობაში, № 1 და 2

**ისყიდება** შემდეგი ახალი **ქართული წიგნები:**

**თვალ-საჩინო სწავლა** ახლად შესრულის ყმაწვილებისათვის სახალხო შკოლებში. შედგენილი მიხ. ჭიჭინაძისაგან—ფასი 40 კაპ.

**განჯგვლიანი ფუტკარი**—თხ. ავენარიუსისა ნათარ. ალ. აბაშიძისაგან—ფასი 15 კაპ.

**გლეხის ნამბობი** მოთხრობ. ილია ჭავჭავაძისა. გამ. არ. სამარტოვისაგან ფასი 25 კ.

**რამდენიმე სურათი ყაჩაღის ცხოვრებიდამ** ?????? ილია ჭავჭავაძისა გადმობეჭ. ... „ ... იდგან“ ფასი 10 კაპ.

**ტოლი თუ გინდა ეს არის**, ლექსი ვასილ აბაშიძისა ფასი 10 კ. და სხვა-და-სხვა ქართული წიგნები.

Въ Тифлисѣ. Книжный магазинъ Григорія Чарквіани въ зданіи Кашветской церкви, № 1 и 2.

(3—1)

---

# ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკისაგან

**ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკის სამმართველო** აცხადებს, რომ ამა ბანკის წესდების მე-17 § ძალით, მიმდინარე წლით ოც-და-სამს ოკტომბერს (მწიფობისთვეს) ქ. ქუთაისს, ბანკის სადგომზე, **ი. ხჩინოვის** სახლებში, საზოგადო ვაჭრობით გაიყიდება უძრავი მამული უ უ წერეთელთა დაგირავებული ხსენებულ ბანკში, ამ მამულზე მიცემულის სესხისამებრ სარგებლის შემოუტანლობის გამო. მამული განთავისუფლდება ვაჭრობისაგან მხოლოდ მაშინ, თუ მემამულეთა, იმავე წესდების მე-19 § ძალით, სრულიად შემოიტანეს სარგებელი და განცხადებაების ხარჯი.

| გვარ-სახელნი მოვალეთა. | რაგვარი მამულია და ან რამდენი მიწა? | სად მდებარეობს მამული. | მამულზე ირიცხება: თავნი ფული | სარგებ. ჯარიმით. | | სულ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | მან. | მან. | კა. | მან. | კა- |
| **წერეთელნი**, გიორგი და დიმიტრი მეთიმეს ძენი, ვასილ სიმონის ძე და შტაბს-კაპიტანი იოსებ ოქროპირის ძე. | სახნავ-სათიბი მიწები, სახელად „სარბევი“, ოცი (20) დესიატინი და 1981 ოთხკუთხედი საჟენი. | ქუთაისის უეზდში, სახელდობ წინაველში, რკინის გზის რიონის სტანციასთან. | 2000 | 149 | 80 | 2141 | 80 |

3—1

---

| რკ. გზა. | დილ. | | საღამ. | | II კ. | | III კ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| თფილისი . . | 9 | 21 | 5 | 18 | მ. | კაპ. | მ. | კაპ. |
| მცხეთა . . . | 10 | 11 | 6 | 27 | - | 85 | - | 44 |
| გორი. . . . | 11 | 58 | 9 | 43 | 3 | „ | 1 | 53 |
| ხაშური . . . | 1 | 29 | 11 | 57 | 4 | 73 | 2 | 42 |
| სურამი . . . | 1 | 44 | | | 4 | 90 | 2 | 61 |
| ყვირილა . . | 5 | 49 | | | 7 | 21 | 3 | 69 |
| რიონი. . . . | 6 | 57 | | | 8 | 44 | 4 | 31 |
| სამტრედია . | 7 | 51 | | | 9 | 66 | 4 | 93 |
| ახალ-სენაკი | 8 | 43 | | | 10 | 71 | 5 | 47 |
| ფოთი. . . . | 9 | 50 | | | 12 | 24 | 6 | 26 |
| ფოთი . . . . | 9 | 3 | | | | | | |
| ახალ-სენაკი. | 10 | 14 | | | 1 | 53 | - | 78 |
| სამტრედია . | 11 | 5 | | | 2 | 61 | 1 | 33 |
| რიონი . . . | 12 | 13 | | | 3 | 84 | 1 | 97 |
| ყვირილა . . | 1 | 18 | ღამე. | | 5 | 3 | 2 | 56 |
| სურამი . . . | 5 | 12 | 1 | 10 | 7 | 34 | 3 | 74 |
| ხაშური . . . | 5 | 39 | 1 | 37 | 7 | 51 | 3 | 84 |
| გორი . . . . | 7 | 5 | 4 | 8 | 9 | 24 | 4 | 73 |
| მცხეთა . . . | 8 | 50 | 6 | 59 | 11 | 39 | 5 | 82 |
| თფილისი. . | 9 | 31 | 7 | 6 | 12 | 24 | 6 | 26 |

| ტელეგრაფი | მან | კაპ. |
|---|---|---|
| ოცი სიტყვა თფილისიდამ. | | |
| კავკასიის აქეთა მხრის ყველა ქალაქებში . . . . . . . . | — | 50 |
| როსტოვს, ოდესას, მოსკოვს, | 2 | — |
| პეტერბურღს, ვარშავს . . . | 2 | — |
| ოსმალეთში, შვეიცარიაში . | 3 | — |
| იტალიაში და საფრანგეთში . | 3 | 50 |
| ინგლისში. . . . . . . . . | 3 | 75 |

### ფოჩტა

ა) თფილისიდამ: საზღვარ გარეთ, ქუთაისს, რუსეთს—ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ორშ. და ხუთშ. ოზურ.—პარასკ. და ორშ. ახეთს—სამშ. და შაბ. ბ) ქუთაისიდამ: თფილისისა და ფოთისაკენ—ყოველ დღე კვირას გარდა. ოზურგეთს—ორშ. და პარასკ.

| წიგნის გაგზავნა რუსეთში და სამზღვარ გარეთ: | კაპ |
|---|---|
| ღია წიგნის . . . . . | 3 |
| დაბეჭდილის (სამი მისხალი) . | 7 |

| მაზანდა | მან | კაპ |
|---|---|---|
| თფილისი 9 აგვისტ. | | |
| ფქვ. თეთ. განჯისა ფუთ. | 2 | 40 |
| ფქვ. წითელი . . | 1 | 70 |
| ქერი ფუთი . . . | 1 | 35 |
| ბამბა ერევნისა, ფუთი. | 8 | 40 |
| —ამერიკისა, ფუთი . | 9 | 30 |
| გაწენდილი ბამბა ფუთი. | 10 | 60 |
| მატყლი თუშური ფუთი. | 8 | 50 |
| —თერაქმისა ფუთი . | 4 | 20 |
| აბრეშუმი ნუხური სტ. | 2 | 10 |
| ქონი ფუთი . . . | 6 | 20 |
| ქონის სანთელი ფუთი. | 7 | 50 |
| სტეარინის სანთელი ფ. | 11 | 80 |
| ხორცი ძროხისა .ლიტრა | — | — |
| —ცხვრისა, ლიტრა . . | — | — |
| სპირტი ვედრო . . . | 4 | 50 |
| შაქარი ბროც. ფუთ . | 7 | 10 |
| —ფხვნილი ფუთი . | 5 | 70 |
| ყავა რგვალი გრვ. . | — | 65 |
| ზეთი ქუნჯუთისა ფუთი. | 15 | 80 |
| თამბაქო საშუალო ფთ. | 6 | 80 |

### თფილისის სამკურნალო.

**ერევნ. მ. იდ., წინ. მძღვაროვ. სახლი.**

**ავათმყოფებს** მიიღებენ ყოველ დღე დილის 8 საათიდამ 10-დინ.

**ორშაბათს:** **ლისიცევი** და **ვარლევიჩი**—შინაგ. ავათმყოფობის.

**სამშაბათს:** ვერმიშევი შინაგ. ავათმყოფ.; **რეიხი**—თვალის, **ჟურავლევი**—ვენერიულის, და კანისა; **გაბოვი**—გულისა და შინაგ.

**ოთხშაბათს:** **ლისიცევი**—შინაგ., **ასტვაცატუროვი**—ქალისა და ბავშვების ავათმყ.

**ხუთშაბათს:** ვერმიშევი—შინაგ. ავათთმყ. და **ჟურავლევი**—კანის და ვენერიულის.

**პარასკევს იქნებიან:** **ლისიცევი**, შინაგ.; **ასტვა-ცატუროვი**—ვენერ. და კანის; **გაბაევი**—გულისა და შინაგ. ავათმყოფ.

**შაბათს:** ვერმიშევი, შინაგ.; **ჟურავლევი.**—ვენერ. და კანის **რეიხი**—თვალის.

*Дозволено цензурою. Тифлисъ, 7 Сентября 1879 г. Типографія Меликова.* გამოც. ს. მელიქიშვილი. რედ. ს. მესხი.